

Handwritten notes and signatures in blue ink, including a date '11/09 2017'.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. ნინო ვახაჯა, 02001011087, აბაშის მუნიციპალიტეტის
სოფ. ნობიო, 598 915406;
2. იხლოდა ვოჯლოა, 02001011120, აბაშის მუნიციპალიტეტის
სოფ. ბაჩანი, 593 419430;

პეტიცია

პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემის ამოქმედება

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას. ელექტრონული ფორმით პეტიციების წარდგენის წესი კი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად, დადგენილებით უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი და პროცედურები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში (პეტიციების ნაწილში), რაც ბუნებრივია საჭიროებს რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანას.

აღნიშნული სისტემის ამოქმედებისათვის აუცილებელ წინაპირობას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფორმით პეტიციის წარდგენისათვის შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციის არსებობა, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. (მაგალითისათვის შეიძლება იხილოთ: წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ქ. გორის მუნიციპალიტეტების ვებ.გვერდები).

პეტიცია წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისად პეტიციას თან ერთვის მოსამზადებელი ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - აბაშის მუნიციპალიტეტის რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის ძირითადი პრინციპები და წინადადებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის საკითხის განხილვის და გადაწყვეტის მიზნით აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უზრუნველყოთ პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესის და პროცედურების საკრებულოს რეგლამენტში ასახვა და შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციის შექმნის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელების საკითხების გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.
3. მოსამზადებელი ნორმატიული აქტის ძირითადი პრინციპები და წინადადებები

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ნინო ვახაჯა *[Signature]*
2. იხლოდა ვოჯლოა *[Signature]*

პეტიციის წარდგენის თარიღი: 11 სექტემბერი 2017 წელი

მიღწეულია № 07/26
ფურცელი 20
"11" 03 2017